



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000039253404618

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 41

05 / დეკემბერი / 2018 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა


ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ძიბახევში მდებარე 2442კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 108-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ძიბახევში მდებარე 2442კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 50.07.33.285) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა.
2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად 

თამარ ყვინიშვილი